



ღირსეული
შრომის
პლატფორმა
GEORGIA FAIR LABOR PLATFORM

ღირსეული შრომის პლატფორმა: სოციალური მუშაკები პანდემიაში ტრანსპორტირების გარეშე მუშაობენ

ღირსეული შრომის პლატფორმა ეხმარება სახელმწიფო ბრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალური მუშაკების ტრანსპორტირების საკითხს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკები როგორც სამსახურში ისე სამსახურეობრივი მოვალეობის დროს განხორციელებულ ვიზიტებზე გადაადგილდებიან საკუთარი ხარჯით, რაც მათ არ უნაზღაურდებათ. სოციალური მუშაკებისადმი მაღალი მიმართვიანობისა და ბენეფიციარების ინტერესების დასაცავად უმეტესობა ვერ ახერხებს ჩაჯდეს ე.წ. სამორიგო სქემაში რაც კვირაში ერთხელ გამოცხადებას გულისხმობს.

პანდემიის პირობებში გახშირებული მომართვიანობისა და სოციალური და ეკონომიკური

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პრობლემების გადრმავეების ფონზე, სოციალური მუშაკის როლი და დატვირთვა გაორმაგებულია და მათ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ საზოგადოების მონყვლადი ფენების დაცვის საკითხში. ამ ფონზე უმნიშვნელოვანესია დამსაქმებელი სოციალურ მუშაკს უქმნიდეს შესაბამის ლოჯისტიკურ გარემოს, რათა არ შეფერხდეს ბენეფიციარებისადმი უწყვეტი სერვისის მონოდება.

- მოვუნოდებთ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უზრუნველყოს სოციალური მუშაკების ტრანსპორტირება □ როგორც სამსახურამდე ისე ბენეფიციარებთან ვიზიტების განხორციელების დროს.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

სოციალურ მუშაკთა გაერთიანება

თბილისის მეტროპოლიტენის დამოუკიდებელი პროფკავშირი – „ერთობა 2013“

ჯანდაცვისა და მოსახურების სფეროების პროფკავშირი – „სოლიდარობის ქსელი“

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო (OSGF)